წლიწადი მეორე.

ƒ2699ა ƒ13723

ფასი ცალკე ნომრის 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი გზა

საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობის ყოველ კვირეული პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანო.

**რედაქცია**

თბილისი, ელისაბედის ქ., 200

რედაქტორი იღებს კვირაუქმეების გარდა ყოველ დღე ნაშუადღევის 5-7 ს.

დაწუნებული ხელნაწერები ავტორს უკან არ დაუბრუნდება, აგრეთვე ხელნაწერების შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას რედაქცია არ მართავს.

რედაქციის ტელ. 2-98

გამოდის ორშაბათობით.

**კანტორა**

ღიაა ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე.

მიიღება განცხადებები სტრიქონი ღირს 50 კაპ.

რედაქცია სთხოვს ამხანაგებს მოგვაწოდონ ლიანდაგიდან მასალები და წერილები საჭირბოროტო კითხვებზე.

დაბეჭდილ წერილების ავტორებს მიეცემათ გასამრჯელო იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვენ გამოგზავნილ წერილზე ზედ წარწერით.

№ 8 — თბილისი, ორშაბათი, 24 თებერვალი 1919 წელი. — № 8

## როგორი უნდა იყოს მომავალი ჩვენი მთავრობა

როგორც თბილისში, საქართველოს დედა ქალაქში, აგრეთვე მთელ რესპუბლიკაში საარჩევნო კომპანიაში გამარჯვება დარჩა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

მომავალი დამფუძნებელი კრება, რომელიც ამ დღეებში შეიკრიბება, თითქმის სრულებით იქნება დემოკრატიის, მშრომელი კლასის ხელში.

საქართველოს დემოკრატიამ, საქართველოს გლეხკაცობამ, მშრომელმა მასამ შეიგნო თუ ვინაა მისი ინტერესების დამცველი, რომელი პარტია აწარმოებს სწორ პოლიტიკურ ხაზს, და მას ამოუდგა გვერდში.

როგორც შავი რეაქციის დროს, ისე დღეს ჩვენი დემოკრატია არ შორდება იმ პარტიას, რომელიც მუდამ გამოდიოდა მისი ინტერესების ნამდვილ დამცველად, როგორც სიტყვით, ისე საქმით.

ამ უკანასკნელ ხანებში ამ პარტიის ავტორიტეტი კიდევ უფრო განმტკიცდა, ვინაიდან ამ პარტიამ თავისი სწორი პოლიტიკით არა თუ იხსნა ერის ფიზიკური არსებობა განადგურებისგან, არამედ გადაარჩინა აგრეთვე რევოლიუციის ხომალდი აბობოქრებულ რეაქციისა და ანარქიის ტალღებისგან დაღუპვას, მიიყვანა ის მყუდრო ნავთსაყუდელთან და დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, რომ საქართველოს დემოკრატიას შეუძლია არსებობა და ის არ მოიხრის ქედს არავის წინაშე.

დღეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დიდი ნდობა აქვს მოხვეჭილი.

მასსა ენდობა მას. მასსა ანდობს თავის ინტერესების დაცვას ამ პარტიას. და დიდი, მეტად დიდი პასუხისმგებლობა აწევს დღეს ამ პარტიას კისერზე.

აი ეს პასუხის მგებლობა აიძულებს ჩვენს ამხანაგებს მომავალ დამფუძნებელ კრებაში შეადგინონ ისეთი მთავრობა, რომელიც სრულიად იქნება გამომხატველი ერის უმრავლესობის სურვილის.

ერის უმრავლესობა კი ხმას აძლევს, ნდობას უცხადებს მუშათა პარტიას, სოციალ-დემოკრატიას.

და ვინაიდან ეს პარტია იქნება ყოველგან და ყოველთვის პასუხის მგებელი სახელმწიფო საქმეებში, ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ სახელმწიფოს აპარატი ამ უმრავლესობის მიერ ნდობით აღჭურვილ პარტიის ხელში იყოს.

დღეს, დღევანდელ პირობებში [illegible]გორი კოალიციური მთავრობაც არ უნდა შესდგეს, სულ ერთია, მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენლები თუ შეუშლიან მთავრობას ხელს მუშაობაში, თორემ გაკეთებით არაფერს გააკეთებენ.

მაშინ, როცა ხალხის თვალში სოციალ-დემოკრატიაა პასუხის მგებელი ყველაფერში, რისთვის შეიწუხებს თავს სხვა პარტიის წარმომადგენელი?

პირიქით, რომ დასცეს სოციალ-დემოკრატიის პრესტიჟი, დაამარცხოს ეს მმართველი პარტია მასსის თვალში, მოწინააღმდეგე, თუ მას მთავრობაში საპასუხისმგებლო ადგილი ექმნა, იმეცადინებს არივ-დარიოს საქმე, გულგრილათ მოეპყრობა მოვალეობას, ხელს შეუშლის სხვებს საქმის გაკეთებაში, იქნება მუდმივ ოპოზიციაში და არავითარი დადებით მოღვაწეობას მოწინააღმდეგეთა მხრით არ ექნება ალაგი.

გულ უბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ნაციონალისტი ან სხვა ვინმე პარტიის წევრი მთავრობაში ერთგულად იმუშავებს იმ დროს, როცა ავი და კარგი, ყველაფერი ეწერება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალი მთავრობის შემადგენლობა აუცილებლად საჭიროა იყოს ერთგვარი, ერთფეროვანი, ერთნაირი მიმართულების.

კოალიციის პრინციპი მაშინაა მისაღები, როცა საზოგადოებრივი ჯგუფები ან პარტიები თუ ერთნაირ ძალას არ წარმოადგენენ, ყოველ შემთხვევაში დიდათ არ ჩამოუვარდებიან ერთმანეთს.

ასეთი დრო იყო რუსეთშიაც და ჩვენშიაც, როცა ესერები, დაშნაკელები, კადეტები და სხვა პარტიები სერიოზულ ძალას წარმოადგენდენ და მათ ჰყავდათ მასსა.

დღეს ეს პარტიები გაქრნენ [illegible] ჩვენში. მხოლოდ უმნიშვნელო მასსა მიჰყვება ნაციონალდემოკრატებსა და ფედერალისტებს.

ხალხის დიდი უმრავლესობა კი ნდობას უცხადებს სოციალ-დემოკრატიას.

აქედან აშკარაა, რომ ამ პასუხისმგებელ პარტიამ უნდა თავის ხელში აიღოს სახელმწიფოს მთელი აპარატი და განაგრძოს ის ბრძნული პოლიტიკა, რომელმაც მას დღეს მოუხვეჭა შეურყეველი ნდობა ხალხის ფართე მასაში.

დღეს, როცა ხალხის წინაშე პასუხის მგებლათ გამოდის მარტო სოც.-დემოკრატია, კოალიციის პრინციპი უნდა უარყოფილ იქმნას.

## ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა

ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობაზე დღეს ბევრსა სწერენ, მაგრამ უფრო მეტს ლაპარაკობენ.

„საქართველოს მდგომარეობა უნუგეშოა. დღენი მისი დამოუკიდებლობისა დათვლილია“.

„საქართველოს დემოკრატია მარტოდ მარტოა“.

„მას ყოველი მხრიდან თავს ესხმიან“. „სომხეთი, თათრები, რუსეთი და თვით ახლად შემოსული ძალაც—ინგლისელებიც-კი მტრულად ექცევიან“. და სხვა მრავალი ამის მსგავსი გესმის როგორც მტრისგან, ისე მოყვარისგანაც...

რა მოხდა?

მართლა ასე უნუგეშოა დღეს ჩვენი მდგომარეობა?

ჩვენის აზრით არა!..

მართალია, ჩვენ ბევრი განსაცდელი გვარტყია დღეს გარშემო.

ბევრი საჭირბოროტო კითხვებია გადასაჭრელი.

მართალია, საქართველოს დემოკრატია მარტოა, მარტო იბრძვის, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა, როგორც ეს უნდათ ბევრ ჩვენ მტრებს, და როგორც ეს ჰგონია ბევრ ჩვენ ამხანაგებსაც. დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ძალიან წააგავს იმ დროს, როცა ჩვენში პირველად გერმანელები შემოვიდნენ.

აი მაშინაც ყველა მტრები და ზოგი ამხანაგებიც, ახმაურდენ: იღუპება საქართველო, „კავკასიის დემოკრატია, რევოლიუციის მონაპოვარიო,“ გადაგვყლაპავს გერმანიაო და სხვა... მაშინ ჩვენ ვწერდით ამავე გაზეთში დაახლოვებით შემდეგს: ტყვილი შიშია... გერმანიის ინტერესებს არ შეადგენს ჩვენი გადაყლაპვა... გერმანიისათვის უფრო ხელსაყრელია ჩვენი დამოუკიდებლობაო და სხვა...

მართლაც ასე მოხდა.

გერმანიის იმპერიალისტებს ადვილათ შეეძლოთ ჩვენი დამხობა, მარა ეს მათ არ ინებეს.

მათ არჩიეს ჩვენი დამოუკიდებლობა, ხელუხლებლობა. ჩვენ არ ვიცოდით რა ედოთ გულში გერმანიის იმპერიალისტებს, რას იზამდენ ისინი შემდეგში, რომ გამარჯვება მათ საბოლოოთ შერჩენოდათ.

ჩვენი ბედი და მდგომარეობა არც მაშინ იყო სავსებით უზრუნველ ყოფილი.

ჩვენისთანა პატარა, ერის უზრუნ-

ველ ყოფნა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. ასეთია დღესაც ჩვენი მდგომარეობა.

გერმანიის ზეგავლენა შეიცვალა ინგლისის ზეგავლენით. თუ მონარქიული იმპერიალიზმი ასე თუ ისე ადამიანურათ გვექცეოდა და ჩვენს დამოუკიდებლობას სცნობდა, დღეს ჩვენ მეტი უფლება გვაქვს ვიფიქროთ და ვიმედოვნოთ, რომ უფრო მეტათ დემოკრატიული ინგლისი ჩვენს დამოუკიდებლობას არ შელახავს. ეს არც შეადგენს ინგლისის ინტერესებს.

როგორც მაშინ გერმანიისთვის, ისე დღეს ინგლისისათვის უფრო სასარგებლო და გამოსადეგია დამოუკიდებელი თავისუფალი საქართველო, ვინემ დამონებული.

ამის ნიშნებიც დღეს არის.

თითო ოროლა შემთხვევებს, თუნდაც ჩვენს საზარალოს, გადამჭრელი ხასიათი არ უნდა მიეცეს.

პროვოკაციას არ უნდა ავყვეთ. ბევრი შინაური მტრების სურვილია ჩვენდა ინგლისს შორის დამოკიდულება გაამწვაოს და ამით საქართველოს დემოკრატიას დიდი ზარალი მიაყენოს.

აი ირკვევა დენიკინის შემოსევის ისტორია.

აქ დენიკინელებმა ინგლისელები მოატყუეს.

სანამ ინგლისელები სოჭაში ჯარს გაგზავნიდენ, ისინი თავს დაგვესხენ.

არც ფოთის ინციდენტი გამოდგა სწორი...

არც ბათომის...

ახალციხის დაპყრობა თათრების მიერ არის ხულ შემთხვევითი მოვლენა და ამ ბრბოების აქედან განდევნა არ შეადგენს ჩვენი სამხედრო ძალისათვის დიდ გასაჭირს. მით უმეტეს რაკი სოჭის ფრონტზე საომარი მოქმედება შეწყდა. ასე და ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ არც ისე ცუდათაა საქმე, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. ვის შეუძლია გამოიცნოს რა უდევს გულში დღეს მსოფლიოში გამარჯვებულ ძალას, ინგლისს?

ხოლო ჩვენ დღეს დღეისობით არც იმდენი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ინგლისი მტრულის თვალით გვიყურებს. და თუ ვინმე ამ ჩვენში შემოსულ ძალასთან ასე თუ ისე მეგობრულ დამოკიდებულების დარღვევას და გამწვავებას ფიქრობს და ცდილობს, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის ან შეუგნებლობით, ან და სხვა და სხვა პოლიტიკური, საქართველოს დემოკრატიის მიმართ მტრული მოსაზრებით.

საქართველოს დემოკრატია არა სდგას „დაღუპვის პირზე“. მდგომარეობა სერიოზული, დიდ მნიშვნელოვანია, მარა რევოლიუციის დაწყების დღიდან ჩვენი მდგომარეობა მუდამ ასეთი იყო.

პირ იქით დღეს უფრო საიმედო სანუგეშო პირობები გვიდგება. დამფუძნებელი კრების არჩევნები დემოკრატიის გამარჯვებით გათავდა.

ეს დიდი ხნის სანატრელი კრება ამ დღეებში თავს მოიყრის და მუშაობას შეუდგება.

დამფუძნებელ კრებას, მის შემადგენლობას და იმ გარემოებას, რომ საქართველოს დემოკრატია ერთსულოვანია, რომ დიდი უმრავლესობა მომხრეა იმ პარტიისა, რომელიც სათავეში უდგას დღეს ჩვენს რესპუბლიკას, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ ინგლისელებმა.

ამ გარემოებას სხვებიც გაუწევენ ანგარიშს.

იძულებული გახდებიან ანგარიში გაუწიონ ამას ჩვენი შინაური მტრებიც.

მაშ შორს ჩვენგან შიში და სასოწარკვეთილება

**კესაშვილი.**

# თბილისის ქალაქის თვითმმართველობაში

თბილისის ქალაქის თვითმმართველობა გადავიდა ახალი საბჭოს ხელში.

ის დღეს სავსებითაა იმ დემოკრატიის ხელში, რომელსაც მდგომარეობა ანიჭებს არა თუ ჩვენში, არამედ თითქმის მთელ მსოფლიოში ბატონობას.

აღარაა დღეს თბილისის საბჭოში ის დისონანსი, ის დომხალი, რომელიც მუდამ აფერხებდა საქმეს და ხელს უშლიდა ქალაქის თვითმმართველობას ნორმალურ პირობებში ეკეთებია თავისი მუნიციპალური საქმე.

ირგვლივ საერთო ანარქია, არევდარევა, ძველის ნგრევისა და ახალის შენების პროცესი.

შიგნით დაშნაკელებისა და პოპოვსმირნოვების ღვარძლიანი გამოსვლანი.

მოსამსახურეთა ცუდი შემადგენლობა.

აი ის პირობები, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა ძველ გამგეობას.

სოციალ - დემოკრატიული პარტია ვერ იყო გამაგრებული ძველ საბჭოში, არ იყო ძალა დემოკრატიის ხელში.

და ამით აიხსნება, რომ ძველი საბჭო საზოგადოთ გადაქცეული იყო პოლიტიკურ გამოსვლათა ტრიბუნათ.

იმ დროს, როცა საჭირო იყო შემოქმედებითი მუშაობა, როცა ქალაქის საქმეები თხოულობდენ დაკვირვებულ და ბეჯით მუშაობას, სმირნოვპოპოვები და იაგჯიანები მხოლოთ იმაზე ფიქრობდენ, თუ ვისთვის როგორ ეკბინათ და როგორც შხამით შეეზავებიათ თავიანთი სიტყვები.

ცხადია, აქ არ [illegible] ნამდვილ მუნიციპალურ მუშაობას.

მართალია, თითო-ოროლა ჩვენი ამხანაგები სულით და გულით ეკიდებოდენ ქალაქის საქმეებს, ისინი არ იზარებდენ კატორღულ შრომას ქალაქისთვის, მაგრამ მათ უშლიდენ ხელს არა მარტო გარეშე პირობები, არამედ შიგნითაც „კოლეგები“ საბჭოში.

ქალაქის გამგეობაში ჩვენი მტრები სრულებითაც არ იყვნენ საქმის ინტერესებით გამსჭვალულნი.

დღეს, ჩვენდა საბედნიეროთ, პირობები შეიცვალენ და ქალაქის საქმეებს სათავეში ჩაუდგა მშრომელი კლასი.

მართალია თითო-ოროლა სხვა პარტიების წარმომადგენელნი დღესაც სხედან საბჭოში, მაგრამ ისინი ისეთ საშინელ უმცირესობას წარმოადგენენ, რომ მათზე ლაპარაკიც არ ღირს!

განახლებულმა საბჭომ გასულ ორშაბათს გამგეობაში აირჩია ისეთი პირები, რომლებიც სულით და გულით დემოკრატიის ინტერესებით და საქმის სიყვარულით არიან აღჭურვილნი.

და ეს გვაძლევს ჩვენ სრულ იმედს, რომ ქალაქის საქმეები დღეს საიმედო პირთა ხელშია.

მაგრამ ამასთან ერთად საბჭოს დიდი პასუხისმგებლობა დააწვა კისერზე.

ძველი აწეწილ-დაწეწილი საქმეები, მეტათ რთული პირობები მუნიციპალურ მუშაობისთვის, ცუდი ფინანსიური მდგომარეობა, უვარგისი აპარატი,—ყველა ეს კისერზე აწვება ახალ საბჭოს და ქალაქის გამგეობას.

ქალაქის განაპირა კუთხეები დღესაც გაუნათებელია ბევრ ალაგას.

ქალაქში საშინელი სიძვირეა. სპეკულიანტების ვაქხანალიას არ უჩანს ბოლო.

# მემანქანე

(სურათი რკინის გზის ცხოვრებიდან)

შუა შემოდგომაა. ქალაქ თბ—სის მუშათა უბან ნ—ვში, ა—ვის ქუჩაზე ორ ოთახიან ბინიდან სინათლე ოდნავ ბჟუტავს. საღამოს ცხრა საათია. უნავთობის და საშინელის სიძვირის გამო ამ ბინის დიასახლისს ორი პატარა ბავში ადრევე დაუძინებია და თითონ-კი ქმართან შემოსხდომიან პატარა მაგიდას, რომელზედაც ერთი სანთლის ნამწვარი ოდნავ ანათებს პატარა ოთახს.

მაგიდაზე ჩუხჩუხებს პატარა სამოვარი.

იქვე აწყვია პური და იმერული ყველი.

ცოლ-ქმარს ცოტა არ იყოს მოწყენილობა ეტყობა...

— რა კარგს იზამდი, სოსო, რომ ამეღამ „ბიულეტენი“ აგეღო! შენ ყურადღებას არ აქცევ, თორემ ვერა ხარ კარგათ. თვალები ძალზე გიბრწყინავს და პირისახეზედაც წამოწითლებული ხარ!..

— არა უშავს-რა, ჩემო კარგო! გაივლის. რამდენიც თავი წამოგტკივა კაცს, იმდენი ბიულეტენი რომ აიღო—ექიმთან სიარულს მოუნდები.

მერე მე ამეღამ თავისუფალი ვარ და თუ ხვალამდი არ გამიარა—ხვალეც მოვასწრებ „ბიულეტენის“ აღებას.

— კაი მოგივიდეს, სოსო, თუ ამეღამ სახლში გაგაჩერეს და არ გამოგიძახეს, მარა ხომ იცი, როცა გგონია ამეღამ თავისუფალი ვარ და მოვისვენებო, აი სწორედ მაშინ გამოგიძახებენ ხოლმე...

— ან ვინმე არ გამოცხადდება, ან ვინმე ავად გახდება. ამიტომ მუდამ სჯობია ამისთანა დროს, როცა თავს ვერა გრძნობ გარგათ, ადრევე „ბიულეტენი“ აიღო და დაწყნარებული იყო.

— ისე ლაპარაკობ, ჩემო კარგო, ვითომც არ იცოდე, თუ როგორ ძნელია ჩემთვის ამ „ბიულეტენის“ აღება. ძალიან ავადაც რომ ვიყო, როგორღაც მცხვენია კანტორაში შესვლა,—ავად ვარ, სამსახურში ვერ წავალ,—ამის თქმა მიძნელდება.

— მერე რატომ? რატომ უნდა გაგიძნელდეს სიმართლის თქმა? ხომ არა სტყუი?.. ხომ არ იგონებ ავადმყოფობას?

— საგმეც მაგაშია, ჩემო კარგო, რომ, რაც ეს დიდი ხნის სანატრელი თავისუფლება მოვიპოვეთ დიდის წვითა და დაგვით, რაც ვერსობით ფულის აღება, მაზუთის „პრემია“ მოვსპეთ და თვიური ჯამაგირი გავხადეთ —მერე ვინ გინდა და არ გინდა „ბიულეტენს“ იღებს.

არის ავად თუ არა, ამას ვინ დაგიდევს. ეს ჯამაგირი მაინც ჩეეთვლება.

წინათ თუ არ წავიდოდა სამსახურში, ვერსის ფული და პრემია აკლდებოდა.

დღეს რას კარგავს? ცოტა სინიდისზე თუ მწყრალათაა, რა ეკარგება!

ცოტა ცუდი ამინდია—არ წავა—„ბიულეტენს“ აიღებს.

ხედავს ცუდი „პარაოზი“ შეხვდა—არ წავა, ავად ვარო—იტყვის.

ერთი სიტყვით, თავის ნებაა, ასე სინდისზე ხელ-აღებულნი უნდა წავლენ და უნდა არა.

ასეთები კი, საუბედუროთ, კიდევ ბევრია ჩვენს დეპოში. ამ შტატის შემცირების შემდეგ გვეგონა ცოტა არ იყოს დარჩენილნი ჭკუაზე მოვიდოდნენ, მარა სადაა.

ახლაც ისევე განაგრძობენ ცუღლუტობას, როგორც წინათ.

— აი ეს არის მიზეზი, ჩემო კარგო, რომ მე მეტათ მეზარება „ბიულეტენის“ აღება და მუშაობაზე მოცდენა.

— ეს ყველა კარგი, სოსო, მარა თუ ავადა ხარ, თუ სუსტათა ხარ, მაშინ რა სირცხვილი უნდა იყოს სიმართლის თქმა და ექიმთან წასვლა? კარგათ

და თბილისის მოქალაქეთ უფლება აქვთ მოსთხოვონ ქალაქის გამგეობას მოაგვაროს ეს საქმეები, მიჰყოს ხელი ნორმალურ მუშაობას.

და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახალი გამგეობა შესაფერ სიმაღლეზე დააყენებს ქალაქის საქმეებს.

საჭიროა ეხლავე შესდგეს შესაფერი აპარატი ქალაქის თვითმმართველობისა. საჭიროა განთავისუფლდეს ქალაქის თვითმმართველობა იმ აუარებელი უვარგისი მოხელეებისაგან, რომლებიც მხოლოთ ჯამაგირებს იღებენ და საქმეებს კი არ აკეთებენ. მუნიციპალური მუშაობა საჭიროა დადგეს შესაფერ სიმაღლეზე.

ქალაქს პატრონობა უნდა. ქალაქი უნდა გამოვიდეს იმ უნუგეშო მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ამდენი ხანი იმყოფება.

ეს დაავალა თბილისის დემოკრატიამ თავის წარმომადგენლებს, როცა მათ ირჩევდა საბჭოში.

და ეს დავალება უნდა სისრულეში მოიყვანოს ახალმა საბჭომ.

ა. რუხაძე

# ებერტი

იქ, სადაც ამ რამდენიმე თვის წინად ბატონობდა მთელ ქვეყანაზე ურეაქციონერესი მონარქი ვილჰელმი, დღეს მთავრობას ამკობს სოციალისტი ებერტი.

ვინ არის ის ებერტი, რომელიც დღეს გერმანიის პრეზიდენტათაა არჩეული?

ებერტი დაიბადა ჰაიდელბერგში 1871 წლის თებერვლის 4. მისი მამა თერძი იყო. ფრიდრიხ ებერტი ჯერ სახალხო შკოლაში სწავლობდა, შემდეგ მან შეისწავლა მამის ხელობა. ებერტს ადრე გაეღვიძა ინტერესი მუშათა საკითხისადმი და 21 წლისა იყო, როცა 1892 წელს გაემგზავრა ბრემენში, სადაც რედაქტორობდა ს.-დემ. „ბრემენის გაზეთს". 1894 წლის მაისის 11 ჯვარი დაიწერა ადგილობრივ მცხოვრებ ლუიზა რუსიპზე. 1900 წ. ის მუშათა კავშირის მდივნათ იყო. 1915 წელს წევრათ შევიდა სოც.-დემოკრატიულ პარტიის გამგეობაში. 1905—6 წ. ებერტი ბრემენის მდაბიო მოქალაქეთა წოდების წევრათ იყო.

რეიხსტაგში არჩეულ იქნა 1912 წ. იანვარში. 1913 წელს აგვისტოში ავგუსტ ბებელის გარდაცვალების შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა. ებერტს ჰყავდა 5 შვილი: 4 ვაჟი და 1 ქალი, რომელიც ახლა 18 წლისაა, 2 შვილი ომში დაჰკარგა, 2 გადარჩენილი ვაჟი დაახლოვებით 20 წლისანი არიან. ცოლი 45 წლისაა.

აი ვინაა ებერტი.

ის გამოვიდა მშრომელი კლასიდან. ის მშრომელი კლასის ინტერესის დამცველია.

ებერტი მეორე ბებელათ ითვლება გერმანიაში. ის ამკობს გერმანიის სოციალ-დემოკრატიას ისე, როგორც ამკობს მას ბებელის უკვდავი სახელი.

# საქართ. პარლამენტის არაჩვეულებრივი სხდომა

18 თებერვალს მოწვეულ იქმნა პარლამენტის არაჩვეულებრივი კრება.

ასეთი ნაბიჯის გადადგმა გამოიწვია შექმნილმა პოლიტიკურმა პირობებმა, განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სხდომა შესდგა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, ვინაიდან სასახლის დარბაზი დღეს კეთდება დამფუძნებელი კრებისათვის

პირველად მოხსენებას აკეთებს მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ნოე ჟორდანია. დარბაზში არაჩვეულებრივი სიჩუმეა. არა თუ პარლამენტის წევრთ, არამედ სულ მთლად გაჭედილ ქანდარაზეც მოწყენილი მდგომარეობაა.

არც გასაკვირალია.

ეს არის სომხების ფრონტი მოვშალეთ, ჯარი სახლში გავისტუმრეთ და აი ისევ სამხრეთ ორი ფრონტი გაგვიჩნდა.

ისევ იარაღი, ისევ ბრძოლა, ისევ სისხლი.

ასეთი მდგომარეობა საქმისა ყველას სახეზე ემჩნევა.

საერთო მოწყენილობაა.

ჩვეულებრივი პარტიული კამათი არა სჩანს.

ყველა გულის ფანცქალით ელოდება, თუ რას იტყვის მთავრობის თავმჯდომარე.

მართლა საქმე ცუდათაა?

მართლა განსაცდელშია ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა?

მომხსენებელმა განმარტა საქმის მდგომარეობა.

სოჭისკენ საშიში აღარაფერია.

იქ მოხდა გაუგებრობა.

დენიკინებმა ინგლისის წარმომადგენელნი მოატყუა და ჩვენ თავს დაგვესხა. ეს აღარ განმეორდება. ამას გვპირდება ინგლისელები და არა გვაქვს საბუთი არ დაუჯეროთ. ყოველ შემთხვევაში, თუ დენიკინის ჯარი უკან არ დაიწევს, ჩვენ იძულებული გავხდებით ძალით დავაწევინოთ უკან— ძველ საზღვრამდეო.

მსმენელთ ცოტათი ღიმილი ეპარებათ. საქმე არც ისე წამხდარა, როგორც გაზეთები სწერენ.

მომხსენებელი გადადის ახალციხის ამბებზე.

აქაც თითქმის იგივეა.

ინგლისელებმა ვერ მოასწრეს ყარსში და არდაგანში ჯარის გაგზავნა.

ამით ისარგებლეს საქართველოს მტრებმა ბეგებმა და ახალციხეს შემოესიენ. ჩვენი პატარა რაზმი ვერას გახდა. ეხლა ჩვენი მოკავშირე ინგლისელები ირწმუნებიან, რომ აწ ეს აღარ განმეორდებაო. ჯარი იქით უკვე მიდის. ხოლო ახალციხეში შემოსული ბრბოები უნდა ჩვენვე გავრეკოთო. ეს არც გაგვიჭირდება, თუ მივიღებთ სახეში იმას, რომ არც ერთი სოფელი ახალციხის მაზრაში მეამბოხეთ არ მიკედლებიაო.

ეს ცნობაც მსმენელებზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

დასასრულ მთავრობის თავმჯდომარე ეხება ინგლისელებთან ჩვენს დამოკიდებულებას და აცხადებს, რომ ეს დამოკიდებულება არ არის მტრული.

შეიძლება ზოგი უპასუხისმგებლო აფიცერი საქმეს ურევდეს, მარა, როცა მოველაპარაკეთ ნამდვილ ინგლისის წარმომადგენელს, მათ ჩვენთან კეთილი განწყობილება სურთ და ჩვენც უნდა ეს დავიჯეროთ.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უნდა თვით შევძლოთ მტრის მოგერიება, და ამით ჩვენ უფრო ანგარიშს გაგვიწევენ.

სუსტსა და უძლურს არც-კი ელაპარაკებიან, მარა ჩვენ არა მარტო იარაღით ვაპირებთ სახელმწიფოს გამაგრებას. იქ კიდევ საჭიროა თვით შინაური საქმეების მოწესრიგება და მეზობელ სახელმწიფოებთანაც მეგობრული განწყობილება.

ჩვენ იმედი გვაქვს მომავალი დამფუძნებელი კრება შესძლებს ყველა დაბრკოლებების დაძლევას და დაამყარებს მშვიდობიანობას.

ამ მთავრობის მოხსენებამ გაფანტა ის დამაღონებელი ბუნდოვანება, რო-

---

მყოფი ხომ ვერ მივა ექიმთან! ექიმი ხომ შეატყობს ავადაა თუ კარგათ?

— რა თქმაა, ჩემო კარგო, როცა ავადა ხარ, უნდა წახვიდე ექიმთან, ამისთვის ვერავინ დაგზრახავს, ხოლო რაც შეეხება იმას, შენ რომ ამბობ კარგათ მყოფი ხომ ვერ მივა ექიმთანო, მეც ასე მეგონა და მიკვირდა, რომ ამ კარგათ მყოფთ რათ ათავისუფლებს ექიმი მეთქი, მარა იმ დღეს ჩემმა თანაშემწემ ამიხსნა საქმის გარემოება. ამ წინაზე სადღაც ნათლობა ყოფილიყო და მატარებელზე არ გამოცხადდა. მერე „ბილიუეტენი" აელო და თავი ავათ გამოეცადებინა. მე ვკითხე: რა უთხარ ექიმს, როცა ავათ არ იყავი მეთქი?

— მან მიპასუხა: ჯერ ერთი რომ ზოგი ექიმი არას დროს არ გეტყვის უარს და თუ „სტროგი" ექიმი შეგვხდა, აი მივიდებ გვერდზე ხელს და ვეტყვი, აი აქ მტეხს—სულს ვერ ვითქვამ. აბა ბიჭია და გაიგოს რაშია საქმეო. ასე რომ თუ სინიდისმა ნება მისცა, ექიმთან საქმეს მუდამ აკეთებენ.

— მარა, ჩემო კარგო, ბარემ ჩაი დავლიოთ და მოვისვენოთ. სანთელი საცაა ჩაქრება და მეტი არცა გვაქვს.

— კი გენაცვალე! დავლიოთ... მარა რას ამბობენ, სოსო, დეპოში ნავთი ნეტავი არ იქნება? ეს სამზარეულო რომ არა გვაქვს, უნავთობა ჩემდა სიკვდილია სწორედ. სანავთეზე ასე თუ ისე ადვილია საჭმლის მოხარშვა მარა ნახშირზე ხარშვა პირდაპირ უბედურებაა. „უგარისგან" მეცა და ბავშვებსაც მთელი დღე თავი გვტკივა. ახ ნეტავი ერთი ნავთი კიდევ გაჩნდებოდეს და სხვას აღარ ვჩიოდი.

ებაასებოდა ცოლი ქმარს. სოსო მართლაც უქეიფოთ იყო. ჩაი კი დალია მარა პური ერთი ლუკმაც არ ჩაუდვია პირში.

— მადა სრულებით არა მაქვს, ჩემო კარგო, ტყვილად ნუ მაძალებ...

ახლა ლოგინი გამიშალე, ერთი ოფლი უნდა ვიდინო და შენ ნახავ ხვალ ისევ ყოჩაღათ ვიქნები...

ეს სიტყვები დათავებულიც არ ქონდა სოსოს, რომ ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა.—ვინ უნდა იყოს! ვაი თუ „სტოროჟია" დეპოდან,—ნელა წამოიძახეს ორნივემ ერთხმად.

კარებზე მართლაც დეპოდან გამოგზავნილი კაცი იყო; მან მოიტანა პატარა ბარათი, რომელზეც ეწერა: მემანქანე სოსო მშვიდობაძე! უნდა წახვიდეთ ეხლავე სამგზავრო მატარებლით ხაშურში. მემანქანე რ—კი —ავად გახდა. ბიულეტენი აიღო. მორიგეთ არავინაა.

მატარებელი უკვე იგვიანებს. რაც შეიძლება ჩქარა.

რევიზორი ა—ვი.

ეს ბარათი სოსომ ხმა მაღლა წაიკითხა. სანამ ის კითხვას გაათავებდა, ცოლს რამდენჯერმე ფერი ეცვალა სახეზე. მას ელდა ეცა. როგორ! ავადმყოფი კაცი ფეხზე ძლივსა სდგას,— ახლა სამსახურში, — ეს შეუძლებელია...—სოსო ვერ წავა... ის უცბათ მიუბრუნდა ბარათის მომტანს.

— აი, ძმობილო, ხომ ხედავ, სოსო ავად არის. ამის წამოსვლა ყოვლად შეუძლებელია. ეს რომ ეხლა სამსახურში წავიდეს—ველარც კი მოაღწევს სახლში...

ცოლს კიდევ რაღაცა უნდა ეთქო, მარა ის სოსომ თავაზიანათ შეაჩერა.

— მოიცა, ჩემო კარგო, მოიცა...

— მე მგონია უარის თქმა შეუძლებელია.

დახე—სოსომ საათი ამოიღო—უკვე 11 საათიაო. მატარებელი ახლა ავჭალაში უნდა იყოს, და ჯერ ორთქლმავალიც არ გამოსულა...

— წადი, წადი — ეხლავე მოვალ, მიუბრუნდა სოსო ბარათის მომტანს.

ისიც სწრაფათ გაიქცა დეპოსკენ.

— ასე, ჩემო კარგო, ნუ დარდობ, ნურც ჯავრობ. ასე ხშირათ მომსვლია. ცოტა უქეიფოთ ვყოფილვარ. წავ-

მელშიაც დამსწრენი იყვნენ გახვეულნი შექმნილ და გამოურკვეველ გარემოებათა გამო.

ამ მხრით პარლამენტის არა-ჩვეულებრივმა სხდომამ თავისი ქმნა. სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ამ საქმიანმა და ღრმად ჩაკვირვებულმა მოხსენებამ ვერ დააკმაყოფილა ჩვენი მემარჯვენე ნაციონალისტები—კედია, გვაზავა-ვეშაპელები.

ამათ ხომ დაკარგული სამოთხე, წართმეული მიწა სიზმარშიაც-კი ესიზმრებათ და რა გასაკვირველია, თუ აქაც ახალციხის ბეგების შემოსვლა და თვით დენიკინისაც ახსნეს იმით, რომ ჩვენ აგრარული რეფორმა მოვახდინეთ. მოიცდიდით ცოტას და უფრო კაი შემთხვევის დროს გავატარებდით მიწის რეფორმებსო.

ასეთ მათ ყალბ და შეუფერებელ მოსაზრებას შესაფერი პასუხი გასცა შინაგან საქმეთა მინისტრმა ამხ. ნოე რამიშვილმა, რომელმაც ნიღაბი ახადა მათ.

ს. დ—ძე.

## დამნაშავე მოსამსახურეთა დასჯა

ძველი ბიუროკრატიული წყობილების ერთ უარყოფითი დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ბოროტ-მოქმედება. იმ დროს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ისე იყო მოწყობილი, რომ ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ყოვლად უღირსნი და უპასუხისმგებლო პირები იყვნენ გაბატონებულნი. პატიოსანი მუშაკები სასტიკად იდევნებოდნენ, მით უმეტეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეებიდან. ბოროტ-მოქმედება და სამსახურში დანაშაულობანი ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული. ამის წინააღმდეგ სახელმწიფო არავითარ ზომებს არ ღებულობდა და არც შეეძლო მიეღო. დემოკრატიული და მუშათა ორგანიზაციები მაშინაც კი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ ამ უღირსი და მახინჯი ელემენტების წინააღმდეგ, მარა ისინი იმდენათ სუსტნი იყვნენ, რომ მათ ბრძოლას უმეტეს შემთხვევებში არავითარი რეალური შედეგები არ მოჰქონდა. ერობების და ზოგიერთ ქალაქების თვითმართველობების ენერგიული და სამართლიანი მოთხოვნის შემდეგ ზოგჯერ მთავრობის რევიზორებიც კი ინიშნებოდა, მარა ბოლოს საქმის მდგომარეობა მაინც უცვლელი რჩებოდა, და ის ძველი ჩინოვნიკები და ბოროტ-მოქმედების ჩამდენნი სრულიად დაუსჯელნი თავ-თავიანთ ადგილას რჩებოდნენ. რევოლიუციის პირველ დღეებიდან ბუნებრივად ასეთ მოვლენებს ადგილი აღარ უნდა ქონებოდა, რადგანაც რევოლიუციის მიზანი იყო ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დარგში დემოკრატიზაციის მოხდენა, და ამ დარგის უღირსი და არა სასურველი ელემენტებისგან გაწმენდა.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიხწეულ არ იქნა. დემოკრატიზაციის მოხდენა პრაქტიკულათ ძალიანი საძნელო საქმე შეიქნა. საქმის მცოდნე და პატიოსანი მუშაკების შოვნა გაძნელდა. ზოგიერთ შემთხვევებში ამ მიზეზის გამო თვით ორგანიზაციებიც იძულებულნი შეიქნენ ძველი წყობილების მომხრენი, მხოლოდ საქმის მცოდნენი ბევრ საპასუხისმგებლო საქმეზედ დაეტოვებიათ. მართალია, ბოროტ-მოქმედებები და სამსახურში დანაშაულებანი წინანდელთან შედარებით საგრძნობლათ შემცირებულია, მარა ზოგიერთ დაწესებულებებში დღესაც ამას ადგილი აქვს. თუ ძველ ბიუროკრატიულ წყობილების დროს ბოროტ-მოქმედება და დანაშაულობანი ბუნებრივი იყო, დემოკრატიულ წყობილებაში ეს ყოვლად შეუწყნარებელია და დაუშვებელი არის. მუშათა ორგანიზაციებმა დიდი ხანია შეიგნეს ყოველგვარი ბოროტ-მოქმედების მავნებლობა და ამ ნიადაგზე ბრძოლასაც ეწევიან. ამ ბრძოლის ნაყოფს დღეს ჩვენ აშკარად ვხედავთ. მუშათა ორგანიზაციების ბრძოლამ ამ ნიადაგზე, მართალია, სასურველი ნაყოფი გამოიღო, მარა მთავრობის დაუხმარებლად ისინი ამ ბრძოლაში სუსტნი იყვნენ. ჩვენი მთავრობა ამ მოვლენას ვერ შეურიგდებოდა, მას უნდა მიეღო ამის წინააღმდეგ რადიკალური და გადაჭრილი ზომები. საჭირო იყო მთავრობის ხმა, მთავრობის დახმარება. და აი ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ მთავრობამ ამას მიაქცია სერიოზული ყურადღება და გადაჭრილ ზომას დაადგა.

31 იანვრის პარლამენტის სხდომაზე მთავრობამ შეიტანა კანონ-პროექტი, შედგენილი სისხლის სამართლის კანონების მიხედვით, კანონი ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურის დანაშაულობებს, წარმოდგენილ დებულებით, მოსამსახურენი დანაშაულობის გამო დასჯილ იქნებიან სამსახურიდან დათხოვნით, დაჯარიმებით და, თუ დანაშაული მათი დიდი იქნება, სატუსაღოში დამწყვდევიდან ვიდრე კატორღამდე და ქონების კონფისკაციამდე. კანონი აგრეთვე ეხება იმ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებასაც, რომელსაც ადგილი ქონდა დღიდან საქართ. დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. პარლამენტმა წარმოდგენილი კანონ-პროექტი ერთხმად მიიღო. მაშასადამე იმ დღიდან სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურში მყოფნი მოსამსახურეები ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისათვის და სამსახურში დანაშაულობისათვის დაისჯებიან ამ კანონის მიხედვით. მთავრობის და პარლამენტის ეს ნაბიჯები ჩვენ მიგვაჩნია მიზან შეწონილად ბოროტ-მოქმედების და დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად, და დიდი კმაყოფილებით ვეგებებით მას. ამ კანონის მიზანი და შინაარსი ალბათ ჯერ კიდევ ბევრმა ჩვენმა მუშა-მოსამსახურეებმა არც კი იციან. ამიტომ ორგანიზაციების და მოწინავე რკინის [illegible]-ბაა აუხსნან მოსამსახურეებს ამ კანონის დანიშნულება და ის სასჯელი, რომელიც აღნიშნულია ხსენებულ დებულებაში, რომ ერთხელ და სამუდამოთ თავიდგან აცდენილ იქმნას ამ ნიადაგზე ყოველგვარი მოსალოდნელი გაუგებრობა და უკმაყოფილება.

ე. ბერეჟოულელი.

## პატარა ფელეტონი

**ყანწელები, დიდი ევგენი და პატარა შოთა.**

ამ არჩევნების დროს ორმა პარტიამ გაახედნიერა საქართველო...

— ყანწელებმა და ევგენ რუსთაველმა.

პირველები ყანწით ხელში გამოვიდნენ ქართულ ხელოვნების ასაყვავებლათ.

რუსთაველის პარტია კი, რომელიც, ჩვენ შორის იყოს ნათქვამი, შესდგება მარტო ევგენ დვალის, უკაცრავათ, რუსთაველისგან, გამოვიდა უფრო ფართე და ბევრის აღმთქმელ პროგრამით.

პირველები მოითხოვდენ ხელოვნების აყვავებას. მათი აზრით, ხელოვნება ყანწებშია.

და ქართველები, როგორც ყანწების მოტრფიალე ხალხი, ეგონათ, მათ მისცემდენ ხმას.

ჩვენი მამა-პაპა მუდამ გაიძახოდა.

— მიყვარს კახური პარი-არალეო.

მწარე განსაცდელის დროს დარდების გასაქარვებლათ ქართველები ყოველთვის მიმართავდენ ღვინოს:

— ისევ და ისევ ღვინითა, დროშგავატაროთ ლხინითაო.

და როგორ წარმოიდგენდენ პაოლო იაშვილი, ტაციან ტაბიძე და სხვა ყანწის პოეტები, თუ დღეს ამ არჩევნე-

---

სულვარ სამსახურში და უკეთ გავმხდარვარ. მე იმედი მაქვს ახლაც ასე იქნება. შენ გული არ გაიტეხო. ყოჩაღათ იყავი...—ჩქარა ჩემი კალათი. მაი ყველი და პური ცოტა კალათში ჩამიდევი. ხვალ საღამოს უკვე შინ ვიქნები, თუ შვიდობაა. ახლა-კი ნახვამდის,— გადაკოცნა ცოლს და სოსო გაეშურა დეპოსკენ.

გაეშურა-კი, მარა ვაი ამისთანა გაშურებას. მანამ დეპომდი მივიდოდა, რამდენჯერმე გაჩერდა, სუნთქვა ეკვროდა, შუბლზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ფეხებში და ხელებში ღონე სულ აღარ ქონდა.

— კიდევ კაი თუ კაი პარაოზი და გამოცდილი, საქმის მცოდნე თანაშემწეა,—ფიქრობდა სოსო... ცოლი ცოტა არ იყოს გაჯავრებული დავსტოვე... ბავშვებს რომ არც კი ვაკოცე!.. ვინ იცის რა ამბავია. დავბრუნდები-კი... ფუი ეშმაკს... რატომ არ უნდა დავბრუნდე! განა პირველია?...

ამ ფიქრებით სოსო უკვე დეპოში მივიდა. რევიზორის კანტორაში გამოცხადდა და ხელი მოაწერა საცა საჭირო იყო...

— აბა, სოსო, ჩქარა...—მიუბრუნდა რევიზორი,—სადგურიდან შეგვაწუხეს, პარაოზი, პარაოზიო. თითქმის საათი დაგვიანებაა.

სოსო ავიდა ორთქლ-მატარებელზე.

თანაშემწე პეტროვი იქვე იჯდა და უკვე სთვლემდა.

— როგორაა, პარაოზი! მზათაა? გაშინჯეთ ყორიფელი? — დაეკითხა სოსო თანაშემწეს.

— ყორიფელი გავშინჯე, ყორიფელი კარგათაა, მკვახედ უპასუხა თანაშემწემ.

— სოსომ გაალო საცეცხლეს კარები და შეხედა „ფარსუნკს“ (ცეცხლის სანთები მანქანაა, საცეცლეში მოთავსებული)—მეგობარო! აი „ფარსუნკა“ გლახათ ანთია. როდის მოხველით მატარებლიდან? დღეს „რემონტი“ ხომ არ დაუწერია თქვენ მემანქანეს?..

— არ ვიცი, მგონია კი დასწერა— ფარსუნკა მოვაბრუნეთ, კარგათ არ ენთებაო—წაიბუტბუტა თანაშემწემ.

— აბა! მემანქანევ, წავიდეთ, წავიდეთ—იძახდა მეისრე. რამდენი ხანია მატარებელი მზათაა და პარაოზს უცდიან...

— წევიდეთ, წევიდეთ,—მიუგო სოსომ და გაალო რეგულიატორი...

ორთქლმატარებელი დაიძრა.

სოსო გრძნობს, რომ ორთქლმატარებელი არ ვარგა, ფარსუნკა ცუდათ ანთია, ასე ორთქლი არ გაკეთდება, და აღმართზე მატარებელს აყვანა გაჭირდება.

სოსოს უნდა ეს ყველა უთხრას რევიზორს დეპოშივე... ან ფარსუნკა გააკეთონ, ან სხვა ორთქლმატარებელი მისცენ... მარა ის უკვე მიდის სადგურისკენ... მივიდა, ორთქლმატარებელი გადააბეს, მუხრუჭი გასინჯეს...

ერთი, ორი, სამი, მესამე ზარია. კვერთხიც მოიტანეს...

ობერი არც კი მოსულა ორთქლმატარებელთან, არც-კი უთქვამს თუ რამდენი ვაგონია... უკვე უსტვენს. სოსომაც დაუსტვინა, მატარებელი დაიძრა...

სოსო სდგას თავის ალაგას—მიყავს მატარებელი... ის მექანიკურათ, ინსტიკტიურათ, ჩვეულებრივად შესცქერის ხან წყლის მაჩვენებელ შუშას, ხან ორთქლის რაოდენობის მაჩვენებელ „მონომეტრს“, ხან უკან იცქირება; ხომ უკანიდან რაიმე ნიშანს არ აჩვენებენო.

ერთი სიტყვით, ის სდგას თავის ალაგას ისე, როგორც დარაჯი. მარა მისი გონება ისევ დეპოშია, ისევ იმაზე ფიქრობს, რომ ფარსუნკა არ ვარგა, რომ სხვა ორთქლმატარებლის წაყვანაა საჭირო... რომ ამ ორთქლმატარებლით შეუძლებელია...

ამ ფიქრებშია სოსო გართული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დროს ქართველები არ მოიგონებდენ ღვინოს და ყანწს!..

მაგრამ...

ნუ იტყვით საძაგელ ამბავს!..

ქართველებს დაუვიწყიათ; თურმე ყანწები და მაღლა აღმართული სასმისები ამ ვაჟებს დააწევიეს ძირს:

— ბიძია! რა დროს მასხრობაა, როცა ქვეყნის ბედი სწყდება...

უთხრეს ამ ცუღლუტებს და გაუფუჭეს ქეიფი.

მართალია, ტაკიმასხარაობისთვის არ სცალია დღეს ხალხს, და შესაფერი პასუხიც მისცეს ყანწელებს, მაგრამ შოთა დვალს ნეტა რას ერჩიდენ?

ეს კაცი სრულიათ სერიოზულათ პირდებოდა ხალხს თავის „პლატფორმაში":

— თუ ჩვენ მოგვცემთ ხმას, ტრამვაიში და რკინის გზაზე უფასოთ გატარებთ, ზღვაში უკაპეიკოთ გაცურავებთ და ჰაერში სულ მუქთათ გაფრენთო.

გარდა ამისა, ევგენ რუსთაველის პარტია აღიქმას აძლევდა ხალხს შემოეღო ისეთი მანქანები, რომლებითაც შეიძლებოდა ავდრიან დღეში მზე ამოსულიყო და მზიან დღეში წვიმა ან თოვლი მოეყვანათ.

მთელ მსოფლიოს პირდებოდა შემოეღო ისეთი საერთო ენა, რომელზედაც ყველა თავისუფლათ ილაპარაკებდა.

(ესპერანტო არ გეგონოთ. დვალს თავისი საკუთარი ენა აქვს, რომელსაც გამოაქვეყნებს მაშინ, როცა მას იცნობს მსოფლიო).

მაგრამ შეიძლება სიბნელის კედლების ასე ადვილათ შენგრევა?

და აი დვალმაც ვერ შესძლო შეენგრია ეს სიბნელე.

— მე ვარ დვალი, ქვეყნის თვალიო,—ბევრი იძახა, მაგრამ არავინ გაუგონა მას და ეს მწვავს გულს.

მწვავს გულს ისიც, რომ ფუჭათ გაიარა ამდენმა შრომამ, ტყუილათ დაიხარჯა აუარებელი ქაღალდი, გახუნდა დვალის ორგანოში ტყუბათ მოთავსებული ორი სურათი:

— დიდი დვალის და პატარა რუსთაველის.

მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ.

დეე, უმეცარმა ხალხმა იძახოს:

— რუსთაველის პარტიას მწყრები უფრინავსო.

პატარა შოთას და დიდი ევგენის იდეა არ მოკვდება.

ისინი ორივე ხალხში მოვიდენ და ხალხმა ვერ იცნო ისინი.

მაგრამ მოვა დრო, როცა ქართველი ერი უფასოთ იწყებს ჰაერში ფრენას.

დადგება ისეთი სანეტარო წამი, როცა დვალის მიერ გამოგონილი მანქანებით ბუნების კანონებს ჩვენებურათ გარდავქმნით, ზაფხულში ზამთარს მოვიყვანთ და ზამთარში ზაფხულს.

მოვა ის სანეტარო დრო, როცა კაცობრიობა დვალის ენაზე იწყებს ლაპარაკს.

ეს სჯერა დვალს. მჯერა მეც.

და აი მაშინ ტაბაკელას მთაზე პატარა შოთას და დიდ ევგენს ჩვენ დაუდგამთ ძეგლს ხელთუქმნელს.

**დემონი.**

# კვირიდან კვირამდე

**საქართველოში.**

— სოჭის ოლქში საომარი მოქმედება შეჩერდა.

— იმ ნოტებზე, რომლებიც ჩვენმა საგარეო სამინისტრომ გაუგზავნა ინგლისის მისიას—ბათუმში ჩვენი წარმომადგენლის არ მიღების, ჩოლოქის ხიდთან, სროლის ქალაქ ფოთში და ახალციხის მაზრაში ინგლისელი აფიცრების მოქმედების შესახებ, სამინისტრომ დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო.

— მთავრობამ განკარგულება მოახდინა—შემოშვებულ იქნან კავკავიდან საქართველოში ყველა ქართველი ლტოლვილნი, და, განურჩევლად პოლიტიკური რწმენისა ისეთები, რომელთაც კავკავში მოხალისეთა ჯარის შესვლის გამო საფრთხე მოელით.

13 თებერვალს დარიალის ხეობაში გაიგზავნა მთავრობის რწმუნებული ზემოხსენებული დადგენილების სისრულეში მოსაყვანად.

ჩვენმა ჯარმა დასტოვა ახალციხე იმ მოსაზრებით, რომ აჯანყებულთ ზურგიდან გზა არ გადაეჭრათ.

— გამოცხადდა მობილიზაცია 24, 25, 26 და 27 წლიანების.

— ის გვარდიელნი, რომელნიც ამ ჟამად ფრონტზე იმყოფებიან, დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ დამატებითი არჩევნების დროს.

— თფილისის ქალაქის თავად არჩეულ იქნა ბენია ჩხიკვიშვილი.

— ფოთში ჩვენმა ჯარმა დაიკავა მოხალისეთა გემი, რომლითაც სოჭაში მიჰქონდათ ნოვოროსიისკიდან სხვადასხვა სურსათი. გემზე მყოფ ჯარისკაცებს და აფიცრებს იარაღი აჰყარეს, სურსათს რეკვიზიცია უყვეს.

**რუსეთში.**

— ბოლშევიკებმა მემარცხენე ესერების შეთქმულება აღმოაჩინეს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. შეთქმულების მთავარი ხელმძღვანელნი და მათ შორის სპირიდონოვას ქალი შეიპყრეს.

— კიევი აიღეს ბოლშევიკებმა.

**უცხოეთში.**

— პალესტინის საკითხის გამო ინგლის-საფრანგეთს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი.

— ბოლშევიკური წყაროებიდან [illegible] წყებიან, ახლო მომავალში საფრანგეთი უკრაინას დატოვებსო.

— პორტუგალიაში რესპუბლიკანურმა ჯარმა მონარქისტები დაამარცხა.

— რუმინიასა და მოკავშირეებს შორის კავშირი შესწყდა.

— გერმანიაში შეიპყრეს ცნობილი ბოლშევიკი რადეკი, რომელიც სპარტაკელებთან ერთად აჯანყებას აწყობდა. აჯანყების დროს სპარტაკელებს უნდა მიშველებოდენ რუსი ბოლშევიკები.

— მოკავშირე სახელმწიფოებს დიდათ აფიქრებს ის გარემოება, რომ გერმანია არ ახდენს ჯარის დემობილიზაციას იმ დროს, როცა მოკავშირეთა სახელმწიფოებში დემობილიზაცია საჩქაროდ ხდება.

— ახალი დროებითი ზავის პირობები გერმანიასთან უმაღლესმა სამხედრო საბჭომ უკვე შეიმუშავა და მისი სისრულეში მოყვანა მიანდო მარშალ ფოშს.

— ბერნის სოციალისტურმა კონფერენციამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა იმსჯელოს რუსეთის შესახებ. კომისიაში შედიან ფრ. ადლერი, კ. კაუცკი, ლონგე და მაკდონალდი.

— სპარტაკელების საქმის გარჩევა დამთავრდა. დამნაშავეთ მიესაჯა 3 თვიდან ერთ წლამდე ციხეში დაპატიმრება.

— მაგდებურგში 80 შეიარაღებულმა მუშამ ძალით გაანთავისუფლა ციხიდან სპარტაკელები.

— გერმანიის სამხედრო მთავარი ბანაკი საბოლოოდ გადავიდა აღმოსავლეთისაკენ. გენ. ჰინდენბურგი კოლბერგში იმყოფება და ზომებს ღებულობს აღმოსავლეთის საზღვრების დასაცავად.

— გერმანიის ახალი სამინისტროს თავმჯდომარეთ დაინიშნა შეიდემანი.

---

მატარებელი გასცდა თბილისის არე-მარეს... გაიარა დიდუბის მინდორი. სოსო ხშირათ შეხედავს ხოლმე „მონომეტრს".

მონომეტრის ისარი ზევით კი არ მიდის, ის სდგას ერთ ალაგას...

წყალი-კი კლებულობს ქვაბში... საჭიროა დამატება, მარა ამ დამატებას მოსდევს ორთქლის დაწევა, დაკლება.

— პეტროვ! მოუმატეთ ცეცხლი. ხედავთ წყალი ცოტაღაა ქვაბში, ჩამატება უნდა... ორთქლი-კი ნელნელა კლდება... სადგური ჯერ კიდევ შორსაა... მიუმატე ცეცხლი.

— კი მიუმატებ, მარა არ ემატება,—მიუგო თანაშემწემ.

აქ სოსომ თვით სცადა ცეცხლის მიმატება,—მარა უნაყოფოთ. „ფარსუნკა" მხოლოდ ერთ მხარეს ენთება. ნახევარი მხარე-კი გაჩერებულია,—არ ენთება.

აქ სოსო ცოტა არ იყოს გამოერკვა. მას სინამდვილე თვალ წინ წარმოუდგა... ის გრძნობს, რომ უკვე გზაშია იმ ორთქლ-მავალზე, რომლის გამოცვლასა და შეკეთებაზე აქნამდი სულ ფიქრობდა და ეგონა კიდევ დეპოში იყო... ახლა ავადმყოფობა, სისუსტე გადაავიწყდა.

ამ ჟამად მთელი მისი გონება იმაზეა მიპყრობილი, რომ მატარებელი, როგორმე სადგურამდი მიიყვანოს.

დიდის წვალებით, გზაში ნახევარი საათის დაგვიანებით მატარებელმა ძლივს მიაღწია სადგურ ავჭალას...

მაგრამ ვაი ამისთანა მიღწევას!

აღარც ორთქლი, აღარც წყალი ქვაბში...

სადგურზე ორი წუთი გაჩერებაა, მარა სანამ საჭირო ორთქლი და წყალი მოგროვდებოდეს, სულ უკანასკნელი ნახევარი საათია საჭირო.

ამ ნახევარი საათის განმავლობაში რამდენჯერმე მოვიდნენ ორთქლ-მატარებელთან სადგურის უფროსი, ობერკონდუქტორი და ბევრი მგზავრებიც, რომელნიც კითხულობდენ, თუ რატომ არ მივდივართო...

როგორც იყო საჭირო ორთქლი მოგროვდა და სოსომაც მატარებელი დაძრა...

გზა ავჭალიდან მცხეთამდი კიდევ უფრო ძნელია, უფრო მეტი აღმართია... ასე რომ მცხეთამდი სოსომ მატარებელი ვერ მიიყვანა. ორთქლი არ ეყო. იძულებული გახდა გაჩერებულიყო გზაში, ორთქლი მოეგროვებინა და ასე კიდევ გზაში ერთი საათის დაგვიანებით მატარებელმა ძლივს მიაღწია მცხეთას.

აქაც ნახევარ საათზე მეტი გაჩერდა ხუთი წუთის მაგიერ...

ქსანის სადგურზე მატარებელი უკვე რვა საათის დაგვიანებით მივიდა...

გათენდა... მგზავრები ახლა უფრო მრავლად მოგროვდენ ორთქლ-მატარებელთან... ხმაურობენ... ილანძღებიან... იმუქრებიან.

— ალბათ, მაშინისტი მთვრალია, —ბუტბუტებს ერთი მგზავრი...

— კაცო! ეხლა ქუთაისში უნდა მივდიოდეთ და ჩვენ კიდევ ქსანში ვართ,—უმატებს მეორე,

— ჩვენ ძველი გამოცდილი მაშინისტები დაგვითხოვეს და აი ახლებიც,—ჩაიბუტბუტა იქვე მოსულმა და ამ მატარებლით მომავალმა ახლად დათხოვნილმა ვიღაცა ყოფილმა მემანქანემ...

ერთი სიტყვით, ვინ რას ამბობდა, ვინ როგორ ამკობდა მემანქანეს, მარა სოსო ამათ ყურადღებას არ აქცევდა.

მისი მთელი გონება-მოსაზრება იმაზე იყო მიპყრობილი, რომ როგორმე ეს უვარგისი „ფარსუნკა" გაეკეთებია და მატარებელი როგორმ ხაშურამდი ჩაეყვანა.

პეტროვ! მიუბრუნდა ის თავის თანაშემწეს—არ შეგიძლია საცეცხლეში შეხვიდე და ცოტა „ფარსუნკა" მოაბრუნო? „ფარსუნკა" რომ ცოტა

— 15 თებერვალს ბერლინში კრებაზე შეიპყრეს კომუნისტების 29 ბელადი, რომელნიც 16 თებერვლისთვის მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციას ამზადებდენ.

— ვარშავაში ჩავიდა მოკავშირეთა კომისია. 13 უებერვალს დაიწყო თათბირი კომისიის წევრთა და პოლონეთის წარმომადგენელთა შორის.

— ზალცბურგის ლანდტაგმა ერთხმად მიიღო წინადადება გერმანიასთან შეერთების შესახებ.

# მსოფლიო ბაზარი

რუსული გაზეთების გადმოცემით სტამბოლში მოგროვილია ბევრი საქონელი. ის, რაც კი შესაძლო იყო მოეცა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, დაგროვილია აქ. ფართლეულობა, აბრეშუმის ნოხები და ფარდაგები, ფარჩაზე ნაქარგები, ავეჯი, თათრული დივნები, ოქრო ვერცხლი, მარგალიტით შემკული მეფის გვირგვინები,—ყველა ეს იყიდება აქ სტამბოლის ბაზარზე.

ოთხი წლის ომის განმავლობაში კონსტანტინეპოლში დაგროვდა ბევრი საქონელი, რომლის იქიდან გატანა შეუძლებელი იყო უგზობის გამო.

გერმანელები სოფიისა და ვარნის გზით გზავნიდენ აქ აგრეთვე მრავალს საგნებს.

აქ იგზავნებოდა დიდი პარტიებით როგორც ფართლეულობა, აგრეთვე ფეხსაცმელები, სატეხნიკო ნაწარმოებები და სხვა. და ვინაიდან მათი გატანა შეუძლებელი იყო, ამიტომ შიგნით მოსახმარათ ცოტა იხარჯებოდა.

აი ამიტომაა, რომ დღეს კონსტანტინეპოლში აუარებელი საქონელია და იყიდება მეტათ იაფ ფასებში.

გზების გახსნამდე კონსტანტინეპოლი განიცდიდა საშინელ ეკონომიურ კრიზისს.

ჯერ ეხლაც ნახავთ ვიტრანებზე წარწერებს: Prix pour reclame!

კონკურენცია აღიოდა უმაღლეს წერტილამდე.

როცა გაიხსნა გზა, ოდესიდან კონსტანტინეპოლს მოაწყდა აუარებელი რუსის ვაჭრები, რომლებიც როგორც მშიერი მგლები, დაეხვიენ საქონელს და იტაცებდენ რაც კი ხელში ჩაუვარდებოდათ.

გასული წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში კონსტანტინეპოლის ფასები 400—500% დაბლა იდგენ რუსეთის ფასებთან შედარებით. გაიხსნა გზა თუ არა, ერთი კვირის განმავლობაში ფასები აიწია ჯერ 25%, მერმეთ 50% და როცა ასეთი ფასების აწევას არავინ გამოედავა მყიდველების მხრით, ვინაიდან რუსეთიდან მოზღვავებულ დამშეულ ვაჭრებისთვის ეს ფასებიც ძალიან დაბალი ჩანდა, საქონელზე ფასის მომატებამ მიიღო პერიოდული ხასიათი და ყოველ კვირა უწევდენ 25%.

ამ ხანათ ნოემბრის ფასებთან შედარებით კონსტანტინეპოლში ფასები აწეულია 200%, რუსეთთან შედარებით ფასები ეხლა აქ მაინც დაბალია 200—300%.

ფასების მომატებას არ შეუშინდენ ვაჭრები, მაგრამ ამ გარემოებამ გამოიწვია სანოვაგის გაძვირება. ამას ვერ შეურიგდენ იქ მყოფი ფრანგის ჯარები და აგრეთვე მცხოვრებლები, ამიტომ ამ ჟამათ კონსტანტინეპოლიდან საქონლის გატანა აღკრძალულია.

ეს განკარგულება უეცრათ დაატყდა თავს 1500 ვაჭარს, რუსეთიდან მოსულებს, რომლებსაც ეხლა არ აქვთ საშვალება გამოიტანონ კონსტანტინეპოლიდან ნაყიდი საქონელი.

კონსტანტინეპოლში ამ ჟამათ რუსეთის აუარებელი ფული ტრიალებს. ბევრია აქ „კერენკები“. ინეთ მათ თავისუფლათ იღებდენ, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ტრიალებდა ბევრი ყალბი ფული. ამიტომ „კერენკის“ ფასი კონსტანტინეპოლში ძალიან დაეცა: მანეთი ღირს 20 კაპ.

ამითაც ისარგებლეს ოდესიდან შემოსულ ვაჭრებმა. ნამდვილი „კერენკები“ შეისყიდეს აბაზათ მანეთი, ხოლო ყალბი „კერენკები“ დაუტოვეს სახსოვრათ ოსმალებს და ბერძნებს.

კონსტანტინეპოლში ეხლა მხოლოთ მსხვილი ღირებულების „კერენკებია“ ხმარებაში—250 და 1000 მანეთიანები, რომლების მანეთი ღირს 75—80 კ.

„კერენკების“ ნიკოლოზის ფულზე გადაცვლისთვის ოდესის ბირჟა ახდევინებს 20—25%, მაგრამ ოდესიდან მოსულ კომერსანტებმა ესეც თავიანთ სასარგებლოთ გამოიყენეს, ვინაიდგან კურსი (ქაღალდ.) ლირისა კონსტანტინეპოლში უდრის 10—11 მანეთს, ბათუმში—16 მან., ხოლო ოდესაში 18—20 მან.

ოქროს ლირა კონსტანტინეპოლში უდრის—49—50 მან., ბათუმში 80—90 მან., ოდესაში—100—110 მან.

ფრანკის კურსი კონსტანტინეპოლში 1 მ. 40 კ., ბათუმში 1 მ. 90 კ., ოდესაში 2 მ. 25 კ.

გირვანქა სტერლინგი კონსტანტინეპოლში 32 მ., ოდესაში—56 მან.

ვინაიდან ფულების გადაცვლა და გატანა არავისგან აღკრძალული არაა, სპეკულიანტები თითქმის მანეთზე მანეთს იგებენ.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ფულების გატანა არ თხოულობს არც ბევრას, არც ბევრ ხლაფორთს, აშკარაა, რომ ეს საქმე მეტათ მოგებიანია.

ამიტომ სპეკულიანტები ეხლა ძალიან ეწაფებიან [illegible] გატანას, რადგან [illegible] აუკრძალეს.

# ჰიგიენა და სანიტარია

**საავადმყოფოების როლი პარტახტიანი ტიფის გავრცელებაში.**

საქიმო ლიტერატურაში ბევრი შემთხვევებია აღწერილი, როდესაც პარტახტიანი ტიფის საავადმყოფოები იყვნენ უმთავრესი ფაქტორი ამ სახადის გავრცელებისა. ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საავადმყოფო არ იყო დაცული გარედან მოსიარულე პირებისაგან, უმთავრესად მნახველებისაგან. და მართლაც ეს ადვილათ შეიძლება რომ მოხდეს. როგორც წინა წერილიდან დავინახავთ, ეს ტიფი გადააქვს ავადმყოფი ადამიანიდან ჯანსაღზედ ტილებს და მათ კვერცხებს-წილებს. თუ მნახველები დადიან ავადმყოფებთან, მაშინ ასეთი გადატანა სენის ადვილი შესაძლებელია: ან თვით საავათმყოფოში იქნებიან ეს მგბენარები და მიახოხდებიან მნახველებს, ან და მნახველებიდან გადაახოხდებიან ისინი თვით ავათმყოფებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტილები მოსწოვენ სნეულის სისხლს და დაამართებენ ამ საშინელ სენს ან მოსამსახურეებს, ან მნახველებს. ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის აუცილებლათ საჭიროა ერთის მხრით ზომები იქმნეს მიღებული, რომ თვით საავადმყოფოში არ იყვნენ ტილები და მეორეს მხრით სრულიად არ დაუშვათ ავადმყოფებთან მნახველები.

ეს ზომებიც რომ მივიღოთ, მაინც მოხდება საავადმყოფოდან ტიფის გავრცელება, რადგანაც საქიმო პერსონალი ხშირად დადის საავადმყოფოს გარეშე. ეს ისეთი ბოროტებაა, რომელთანაც ბრძოლა ძნელია. ამიტომაა ცდილობენ, რათა ერთს ქალაქში არ იყოს რამოდენიმე საავადმყოფო პარტახტიანი ტიფით ავათმყოფთათვის. სწორეთ ამ მოსაზრებით იყო შემოღებული თბილისში ყველა პარ. ტიფით ავადმყოფების ქალაქის საავადმყოფოში თავმოყრა. რა დაწესებულებისაც უნდა ყოფილიყო სნეული, ის იგზავნებოდა ქალაქის (არამიანცის) საავადმყოფოში.

გამონაკლისს არ შეადგენდა არც ჩვენი რკინის გზა. აქ გახდებოდა ავათ რკინის გზელი თუ ხაზიდან ჩამოიყვანდნენ მას, სულ ერთია, ის იგზავნებოდა ქალაქის საავადმყოფოში.

იმ შემთხვევისათვის, თუ თვით რკ. გზის საავადმყოფოში აღმოჩნდებოდა ამ სენით შეპყრობილი, არსებობდა საიზოლიაციო განყოფილება, სადაც ავადმყოფებს სტოვებდენ დროებით, ერთი-ორი დღით.

ეხლანდელი ეპიდემიის დროს ეს წესი შეიცვალა. საქმე იმაშია, რომ ბევრი პარტახტიანი ტიფით სნეული მოყავთ, რომლების გადაგზავნა ქალაქის საავადმყოფოში ფრიად გაძნელებულია. გარდა ამისა ზოგიერთი ავადმყოფების ნათესავები მოითხოვენ, რომ მათი სნეული არ გადააგზავნონ არამიანცის საავადმყოფოში. ზემო ნაჩვენები მიზეზ-

---

მობრუნდეს, საქმე უსათუოთ გამოკეთდება...

— მე თავი მოძულებული როდი ს, მიუგო პეტროვმა.—თუ გეხასიათებათ, თქვენ თვითონ შებრძანდით ამ ცხელ ფურნეში და მოაბრუნეთ „ფარსუნკა“. სოსომ აღარა უპასუხა.

ორივე „ინჟექტორით“ დაუწყო წყალს „ტენდერიდან“ ქვაბში გადაქაჩვა... ამ ნაირათ ქვაბში ორთქლი დაეცა.

მერე სოსომ ცეცხლი ჩააქრო. პატარა სანათი აანთო, საჭირო იარაღი მოიმზადა და საცეცხლეში შეძვრა... შევიდა გახურებულ ფურნეში...

აქ სოსომ სულ ხუთი წუთი დაყო, საჭირო საქმე გააკეთა. ფარსუნკა მოაბრუნა...

გარედ გამოვიდა, მარა სოსო სულ ერთიანათ ოფლში გაწუწული იყო. სახე მთლათ გაწითლებული ქონდა

ფარსუნკა ახლა ჩინებულათ აენთო, ორთქლი ახლა უკვე ათ წუთში მოგროვდადა მატარებელი სოსომ არა ჩვეულებრივი სიჩქარით გააქანა ხაშურისაკენ...

საქმე გამოკეთდა.

ორთქლი რამდენიც გინდა ამდენია. დაგვიანების მაგიერ, სოსო ახლა ისე ჩქარა მიაქანებს მატარებელს, რომ ბევრი მგზავრი გაოცებით ეკითხება თანა მგზავრს: მგონია ჩვენი მაშინისტი გამოფხიზლდა. რაც აქნამდი დაიგვიანა, ახლა უნდა მგონი დაეწიოს.— ნეტავი კი არსად გადავგჩეხოს... და!..

სოსო-კი მიაქანებს მატარებელს, მარა ის ველარაა გონებაზე...

ისეც ხომ ავად იყო და ამ ღამეს ამდენმა გაჭივრებამ და ბოლოს გახურებულ საცეცხლეში შესვლამ თავისი უქმნა.

ოფლით გაწუწული სოსო მიაქანებს მატარებელს-

ქარი სოსოს ყოველ მხრიდან უბერავს, ოფლი შეაშრა, მარა ახლა სიცხე შიგნით აიწია, შიგნით გაჩნდა. სოსო კარგავს გრძნობას, ის ბურანშია, ფეხზე ძლივსა სდგას, მარა მატარებელი მაინც კარგათ მიყავს... სადგურებზეც ჩვეულებრივ და სწორათ აჩერებს, აი ხაშურის სადგური!..

აქ ორთქლმატარებლები იცვლებიან.

შუა დღე გახდა...

მატარებელი ხაშურის სადგურზე თავის ალაგას გაჩერდა...

სოსოც საცა იდგა, იქვე ჩაეკეცა, გრძნობს რომ ეხლა უკანასკნელი ძალ-ღონეც დაკარგა.

ის ცოცხალ - მკვდარი ჩამოიღეს ორთქლმატარებლისაგან. პირველი დახმარება იქვე სადგურზე აღმოუჩინეს. ექიმმა ფილტვების ანთებათ აღიარა.

საავადმყოფო ვაგონში შეიყვანეს გრძნობა დაკარგული სოსო და პირველი მატარებლით თბილისკენ საავადმყოფოში წამოიყვანეს...

**ს. ლოლიძე.**

(გაგრძელება იქნება)

ბის გამო რკ. გზის საავადმყოფოში მოიყარა თავი ბევრმა სახადიანმა ავადმყოფმა, რომლებიც მოთავსებული არიან ოთხ სხვა და სხვა შენობაში. ეს შენობები სხვა გადამდები სენებისათვის იყო მომზადებული (ყვავილი, ყელის ტკივილი, დიფრერიტი). გაზაფხულზედ მოსალოდნელია ნახსენები სნეულებების გაჩენა და მაშინ საშვალება არ გვექნება ისინი მივიღოთ საავადმყოფოში. მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ის შენობები, სადაც პარტახტიანი ტიფით ავადმყოფები წვანან, არ არიან დაცული მნახველებისგან და, მაშასადამე, ეს სენი ვრცელდება ხალხში ჩვენი საავადმყოფოს საშვალებით. თუ რკინის გზის მოსამსახურეებს თითონ არ ექნებათ შეგნებული ის ჭეშმარიტება, რომ ისინი პარტახტიანი ტიფით ავადმყოფების ნახულობით ავრცელებენ ამ საშინელ სენს, მაშინ ადმინისტრაცია ვერაფერს გახდება. ამიტომ მინდა მივაქციო ამხანაგების ყურადღება ამ საგანზედ. განსაკუთრებით საშიშონი არიან პროვინციიდან ჩამოსულები, რომლებიც მატარებელში თავს ვერ დაიცავენ ტილებისგან. ამნაირათ ადვილად შეიძლება მნახველიდან ავადმყოფს გადაახტნდეს ტილი და წინააღმდეგ, მით უმეტეს შესაძლებელია ეს, რომ ხან წყალის და ხან შეშის უქონლობის გამო ავადმყოფებს დროზედ ვერ ვბანთ და ტილების მოსპობა საავადმყოფოში შეუძლებელი ხდება. რომ ეს ასეა იმით მტკიცდება, რომ საავათმყოფოში უკვე რამოდენიმე მოსამსახურეები გახდენ ავათ ამ სენით.

საჭმელების გადაცემა ავათმყოფებზედ ადვილია: ამისათვის სპეციალური მოსამსახურეებია დანიშნული.

ვინც პარტახტიანი ტიფით ავადმყოფებთან დადის სანახავად, ის ხელს უწყობს ამ სენის გავცელებას.

ერიდეთ საავადმყოფოში სიარულს, განსაკუთრებით მის გადამდებ სენთა განყოფილებაში!

ექიმი ნ. რუხაძე

—

P. S. რკინის გზის საავადმყოფოს მოსამსახურეებიდან ავად გახდნენ პარტახტიანი ტიფით სულ 18 კაცი, მათ შორის: ერთი ექიმი (კანდელაკი), ერთი ექიმის თანაშემწე, 4 მოწყალე და, 14 დაბალი მოსამსახურე. გარდაიცვალა ორი დაბალ მოსამსახურეთაგანი.

ნ. რუხაძე.

—

### რკინის გზის საავადმყოფოთი სარგებლობა.

საექიმო-სასანიტარო კომისიამ სცნო, რომ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა და მათ ოჯახთ გარდა, არვის არ აქვს უფლება ისარგებლოს რკინის გზის საავადმყოფოთი. მაგრამ, თუ უკიდურეს საჭიროებამ მოითხოვა, ნებართვა უნდა იქმნას მიცემული რკინის გზის პროფ. კავშირის ცენტრ. გამგეობისაგან. რკინის გზის დანარჩენ დაწესებულებებს არ აქვთ უფლება შეკრან ამ კითხვაზე ვინმესთან პირობა.

### პარტახტიან ტიფთან ბრძოლა.

საექიმო-სასანიტარო კომისიამ აირჩია სპეციალური კომისია პარტახტიან ტიფთან საბრძოლველათ ამ კომისიამ სამი დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი ამ კითხვის შესახებ.

## რკინის გზის მუშათა წერილები

### სათადარიგო მოხელეები.

ყველამ კარგად იცის რკინის გზის მოსამსახურეების გაჭირვებული არსებობა. მხოლოდ იმგვარ პირობებში, როგორც სათადარიგო მოხელეები ვიმყოფებით, არა მგონია რომ ვინმე იყოს. მოსვენება არა გვაქვს, სიცივე ჩვენ არ გვკლია და შიმშილი. გამოგიძახებენ თუ არა დეპეშით, რა დროც უნდა იყოს მაშინვე მზად იყავი გასამგზავრებლათ საითაც მიგზითითებენ, ერთი უბნიდგან მეორე უბანშიდაც კი გვიხდება სიარული. მიხვალ დანიშნულებისამებრ და სათადარიგო ოთახს ვერ ნახავ ან თუ არის, არ ათბობენ უშეშობის და სხვა და სხვა მიზეზების გამო, ვართ ასე მოუსვენარი და გაჯახირებული. ავად თუ კარგად ყოველივე გაჭირვებას ვიტანთ, მხოლოდ ჩვენი შრომა სრულებით დაუფასებელია. დღიური სამი მანეთით განა ცხოვრება შეიძლება?!. ორ თვეზე მეტია რაც სამსახურიდან დღიურის მომატებას გვპირდებიან, მაგრამ სად არის, პეტრეს მოსვლამდის პავლეს ტყავი გააძვრესო, ჩვენზეა ნათქვამი. ყველა საჭიროა მაშინ, როდესაც ავადმყოფი კრიზისშია და არა კრიზისის შემდეგ.

შარშან იანვარში, როდესაც რუსების ჯარის გადაზიდვა მოხდა და მთელი ბაქოს ხაზი ცეცხლის ალში იყო გახვეული, ბევრმა ჩვენთაგანმა ბრბოებიდგან განადგურებულ სადგურებზე განვაახლეთ მუშაობა, მიუხედავად იმისა რომ ჩვენ თვითონ გაცარცულ და განადგურებულ სადგურებიდან ვიყავით ორ ცეცხლ შუა ერთი მხრივ გამხეცებული რუსების ჯარებიდგან ძალიან შევიწროვებულ პირობებში გვიხდებოდა სამსახური, მაგრამ ყოველ გაჭირვებას ვიტანდით, რათა ყველას მიზანი და მისწრაფება იყო გაბალშევიკებულ რუსის ჯარი მოგვეშორა თავიდგან. იმ დროს ჩვენი ადმინისტრაცია დეპეშებით გვპირდებოდა ხუთ-ხუთ მანეთს დღეში, ერთ დროულ საჩუქრებს და ბევრს კიდევ სხვას, რაც არც ერთი მუხლი სისრულეში ჯერაც არ მოუყვანილა და ეჭვს გარეშეა, რომ დაპირება მათი არ იქმნება ასრულებული.

თუ შემდეგშიაც გულ-ხელ-დაკრეფილი ვიქნებით და ხმას არ ამოვიღებთ, ჩვენ ჭირ-ვარამზე, სხვა თავს არ შეიწუხებს. საჭიროა ყველა უბნებიდგან თუ ორი არა, ერთი წარმომადგენელი მაინც გვყავდეს ცენტრალურ-პროფესიონალურ კავშირში, ჩვენი ინტერესების მედგრად დასაცავად, თორემ სხვის იმედებზე დამყარებული ჩვენ ფონს ვერ გავალთ.

სათად. მოხ. გ. გ. ბ—ი.

რედაქციისაგან. ცენტრალურ გამგეობას ირჩევს დელეგატთა ყრილობა და ამ არჩევნებში ყრილობა ეპყრობა არა მარტო დარგობრივ პრინციპს, არამედ უმთავრესათ საქმიანობის პრინციპს (ДѢЛОВОЙ ПРИНЦИПЪ), ცენტრ. გამგეობა კი ზრუნავს რკინის გზის ყველა მოსამსახურეების მდგომარეობაზე. ამიტომ თქვენი წინადადება, რომ სათადარიგო მოხელეებმა ცალკე გაგზავნონ ცენტრ. გამგეობაში წარმომადგენლები ყოვლად უსაბუთოა.

### რკინის გზის პროფ. კავშირის ცენტრალურ გამგეობაში.

4 თებერვლის სხდომაზე.

ცენტრალ. დისციპლინალური სასამართლო.

ცენტრალურ დისციპლინალურ სასამართლოში, თანახმად ადმინისტრაციის და კავშირის გამგეობის შეერთებულ სხდომის დადგენილებისა, არჩეულ იქნენ სამეხანიკო ნაწილისგან ბერეჟიანი, მის კანდიდატათ შავგულიძე, მოძრაობის ნაწილისგან ცენტერაძე, კანდიდატათ არველაძე, ლიანდაგიდგან ბოკერია, კანდიდატათ ნასიძე და მეოთხე წარმომადგენლათ ე. დიდიძე, ხოლო მის კანდიდატათ ილ. გიორგაძე.

რაიონულ გამგეობის თავმჯდომარის დეპეშის დანიხვრა.

ცენტრ. გამგეობამ დაადგინა ეცნობოს სამექანიკო ნაწილის უფროსს გამოერიცხოს ხაშურის რაიონ. გამგეობის თავმჯდომარეს პატარიძეს დანიხრული დეპეშის ფასი ცხრა მანეთი, ტელეგრაფის ფონდში გადასარიცხავად.

მილიციაში ბოროტ-მოქმედების შესახებ.

წინადადება ეძლევა დეპოსა და სახელოსნოს რაიონულ გამგეობებს გამოიკვლიოს მილიციის ბოროტ-მოქმედების შესახებ და კონკრეტიული ფაქტები წარმოუდგინოს ცენტრალურ გამგეობას, რის შემდეგაც გამგეობა იქონიებს მსჯელობას.

მორიგეობა სადგურზე.

ვინაიდგან გამოცხადებულია სამხედრო წესები, საჭიროთ იქნა ცნობილი თბილისის სადგურზე და დეპოში იქნან დანიშნული მუდმივი მორიგეები. მორიგეობა დაევალა ბერეჟიანს, შავგულიძეს; ცენტერაძეს და არველაძეს.

გზის რაიონებათ დაყოფვა.

გამგეობაში დაისვა კითხვა გზის 3 რაიონათ დაყოფის შესახებ იმ მიზნით, რომ სხვა დასხვა რაიონებში სხვა და სხვა პროცენტებით ყოფილიყო შემოღებული ჯამაგირების მომატება. ასეთი წინადადება უარყოფილ იქნა გამგეობის მიერ.

შრომის ნორმიროვკა.

შრომის ნორმიროვკის შესახებ გამგეობამ დაადგინა შემოღებულ იქნას, როგორც სახელოსნოში, აგრეთვე სხვა დარგებში, სადაც შესაძლებელია, შრომის ნორმიროვკა.

დახმარება.

გამგეობამ დაადგინა დროებით დარჩეს ადმინისტრაციის დადგენილება ძალაში, რომლითაც მოსამსახურეების სიკვდილის დროს ეძლევა ჭირისუფლებს ერთი თვის ქირონადი ჯამაგირი. ახალი კოლექტიური ხელშეკრულებისთვის გამომუშავებული ნორმები დახმარებისა აუცილებლათ შეტანილ იქნას ხელშეკრულებაში.

6 თებერვლის სხდომა.

მოხსენება ჯავშნოსნებზე.

ჯავშნოსნების კომენდანტმა გოგვაძემ მოახსენა კრებას ყველა ჯავშნოსნების გმირული მოქმედება 1917 წ. შემოდგომიდან დაწყებული უკანასკნელ სომეხ-ქართველთა ომამდის, რა სიმდიდრე გადაარჩინეს მათ დაღუპვისაგან და ჩააბარეს რესპუბლიკის მთავრობას და რამოდენა მოსამსახურეები, ჯარისკაცები და მცხოვრებნი—გამოქცეულნი იხსნეს განადგურებისაგან და სიკვდილისაგან.

ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა: რევოლიუციის მონაპოვართა და ჩვენი ხალხის დემოკრატიის ფიზიკურათ გადარჩენის საქმეში ჯავშნოსნებს და მათზედ მცირე რიცხოვან რევოლიუციონურ რაზმს ამხ. ვ. გოგვაძის მეთაურობით უმეტესი და გადამჭრელი ღვაწლი მიუძღვის. მათმა თავ-განწირულმა და დაუღალავმა ბრძოლამ სახალხო გვარდიასთან ერთად ჩვენს ხალხს ააცდინა ყოველივე საფრთხე, რომელსაც მიზნათ ჰქონდა ჩვენი ხალხის აოხრება, და მით მტკიცე—საფუძველი ჩაუყარეს დემოკრატიის ბატონობას. ცენტრალური გამგეობა, აღნიშნავს რა ამ ღვაწლს, აფასებს მას და ჯავშნოსნებში მყოფ ამხ. გვარდიელების დაუღალავ და თავგანწირულ რევოლიუციონურ ბრძოლას, უღრმეს მადლობას გამოსთქვამს ამხ. ვ. გოგვაძესადმი, რომელმაც მოხერხებულ და შესაფერის დროს შესძლო რევოლიუციონური რაზმის შექმნა, და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალშიც მათი ბრძოლა და რევოლიუციონური მოღვაწეობა მიმართული იქნება ჩვენი დემოკრატიის სამოსამსახუროთ. ცენტრალური გამგეობა ამ ბრძოლაში ყოველთვის მათთან იქნება.

ცენტრალური გამგეობა საჭიროდ აღიარებს ჯავშნოსნების მატარებლის გაკეთებას, სთხოვს გზის უფროსს აუცილებლად მიიღოს ყოველივე ზომები მატარებლის დაჩქარებით გაკეთების საქმეში.

7 თებერვლის სხდომა.

დახმარება გვარდიელის ოჯახს.

ვინაიდგან ფრონტზედ მოკლულს საშა ნარიმანაშვილს დარჩა სარჩენი დედა და დები, თანახმად ცენტრ. გამგეობის დადგენილებისა, მიეცეს მის ოჯახს 1000 მანეთი გვარდიის ფონდიდგან.

8 თებერვლის სხდომა.

პროფეს. კავშირთა საბჭოში შესვლა.

პრინციპიალურად გადაწყდა შესვლა თბილისის კვანძის მოსამსახურეებისა პროფეს. კავშირთა საბჭოში იმ პროპორციით, როგორც ეს მიღებულია საბჭოს დებულებით. დაევალა რაიონულ გამგეობას შეკრიბოს სტატისტიკური ცნობები თვითეული რაიონის მოსამსახურეებისა და წარმოუდგინოს ცენტრალურ გამგეობას კავშირთა საბჭოში გასაგზავნი კანდიდატების სიასთან ერთად.

9 თებერვლის სხდომა.

მოლარე ჯანჯღავას დათხოვნა.

ცენტრალური გამგეობა გაკვირვებული დარჩა იმის გამო, რომ ფოთის სადგურის მოლარე ჯანჯღავა დღემდის განაგრძობს სამსახურს მისდა მიუხედავათ, რომ ის დათხოვილი იყო ადმინისტრაციის მიერ განსაკუთრებული კომისიის გამოძიების და დასკვნის თანახმად. გამგეობამ დაადგინა მოითხოვოს, როგორც მისი დაუყოვნებლივ სამსახურიდან მოხსნა, აგრეთვე შეტყობინება თუ ვისი განკარგულებით განაგრძობს ჯანჯღავა სამსახურს.

მოსამსახურეების დატუსაღება კავშირის შეუტყობინებლად.

ვინაიდგან ადმინისტრაცია თავის განკარგულებით ან და მთავრობის თანხმობით ატუსაღებს ზოგიერთ მოსამსახურეებს და კავშირს კი მხოლოდ შემთხვევით ატყობინებს ამას, ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა აცნობოს ადმინისტრაციას, რომ კავშირს აუცილებლად უნდა ეცნობოს, როგორც ვინაობა დატუსაღებული კავშირის წევრისა, აგრეთვე ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს დატუსაღება.

სათადარიგო აგენტის ნესტორ დექავას საქმე.

გამგეობამ დაადგინა აცნობოს ადმინისტრაციას, რომ სათადარიგო მოხელე ნესტორ დექავა არ იქნას სამსახურში მიღებული, ვინაიდან ის დათხოვნილია სამსახურიდგან ცენტრალური გამგეობის მიერ სხვა და სხვა დანაშაულობისათვის.

10 თებერვლის სხდომა.

დამოკიდებულება სასურსათო კომიტეტთან.

თავმჯდომარის მოხსენების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ცენტრალურ გამგეობას სადაოთ არ მიაჩნია ის, რომ მას აქვს კონტროლის უფლება სასურსათო კომიტეტში ისე, როგორც სხვა ყველა დარგებში.

სასურსათო საკითხი.

დ. ათაბეგმა მოახსენა კრებას, რომ სასურსათო საკითხი ეხლა დებულობს ნამდვილ სახეს, ყოველს სადგურზედ მისცემენ კუთვნილ სურსათს, შტატის ნაკლულევანება გამოწვეულია იმით, რომ მცოდნე პირები — სპეციალისტები ძნელი საშოვნელია. ლიანდაგზე სურსათი უკვე გაიგზავნა. კომისიებმა, თუმცა ვერ შეიძინეს საკმარისი სურსათი თანახმად დავალებისა, მაგრამ ამაში ხელი შეუშალა სხვა და სხვა მიზეზებმა. ცინცაძის მიერ შეძენილ ცხენების და ფურგონების ლიკვიდაცია უკვე ხდება. სასურსათო საკითხი ახალი სისტემით მოგვარდება საესებით $1^1/_2$—2 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც მას, ათაბეგს, გადაწყვეტილი აქვს განთავისუფლოს თავი სასურსათო საქმეში მუშაობისაგან. მომხსენებლის პასუხის შემდეგ, რომელმაც უარჰყო დ. ათაბეგის მიერ წამოყენებული დებულებები, ცენტრ. გამგეობამ და სარევიზიო კომისიამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ცენტრ. გამგეობის და სარევიზიო კომისიის შეერთებულმა სხდომამ, მოისმინა რა მოხსენება სასურსათო კომიტეტის მთავარი რწმუნებულის ამხ. ათაბეგისა სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: 1) სასურსათო საქმე რკინის გზაზედ ვერ არის მოწყობილი ისე, როგორც სასურველი და საჭირო არის, რაც იწვევს დიდ უკმაყოფილებას მუშა-მოსამსახურეებში. კრება საჭიროთ აღიარებს რკინის გზაზედ სასურსათო საქმის კარგათ დაყენების აუცილებლობას. 2) შეერთებულ კრებას აუცილებლათ საჭიროთ მიაჩნია სასურსათო კომიტეტში მუშა-მოსამსახურების შტატის გაწმენდა და იქიდგან არა სასურველი პირების დაუყოვნებლივ დათხოვნა. 3) თანახმად უკანასკნელი ყრილობის დადგენილებისა აუცილებლად გადაყენებულნი უნდა იქნან სამსახურიდგან და პასუხის გებაში მიცემულნი ის პირები, რომლებსაც ბრალდებათ სასურსათო კომიტეტის ფულების გაფლანგვა.

შუამდგომლობა ბათუმში წასვლის მოსურნე მოსამსახურეებისა.

ვინაიდგან ბათუმში წასვლის მოსურნე მოსამსახურეები შიშობენ იქ ადგილის დაკარგვას იმ შემთხვევაში, თუ ბათუმში სამსახური ვერ იშოვნეს, გამგეობამ დაადგინა ეთხოვოს ადმინისტრაციას მისცეს მსურველთ თითო თვის თავისუფლება უჯამაგიროთ.

# სასურსათო საქმე

იანვრის განმავლობაში რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა შეიძინა:

კომბოსტო—3677 ფუთი, სარეცხის საპონი—190 ფ., კარტოფილი—5874 ფ., ბრინჯი—60 ფ., ღორის ხორცი—200 ფ., ჭარხალი—510 ფ., თხილი—600 ფ., სიმინდი—6279 ფ., ხორბალი—2112 ფ., ვაშლი—1075 ფ., ნავთი—4000 ფუთი, ფორთოხალი—582 ფ., თევზეულობა—1801 ფ.

**ფულის გაქურდვის შესახებ.** როგორც გამოცხადებული იყო მთავარ სახელოსნოს ფული ამ დღეებში გაძარცვეს. ამის გამო სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ ვინც ბოროტმოქმედებს აღმოაჩენს, მისცემს მათ საჩუქრათ 20,000 მან.

**სიმინდის შეძენა.** სასურსათო კომიტეტმა არ მიიღო მიქელაძის წინადადება, რომელიც იძლეოდა სიმინდს 45 მან. ფ. ვინაიდან გლეხები დიდის სურვილით სცვლიან სიმინდს ნავთზე, ამიტომ სასურსათო კომიტეტი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ნავთის შეძენას, რომელიც გადაიცვლება სიმინდზე.

**სასურსათო კომიტეტის აგენტების დასაჩუქრება.** სასურსათო კომიტეტმა დაადგინა მისცეს ამხ. ჩაჩიბაიას 30 მან. დღიური მთელი იმ დროს განმავლობაში, რაც მან დაჰყო ჩრდილოეთ კავკასიაში, და აგრეთვე მიეცეს მას საჩუქრათ 10,000 მ. მადლობის ნიშნათ, რომ მან მიიღო ყოველივე ზომები შეენახა მინდობილი ფულები.

# რკინის გზის ამბები

**სიეზდი.** 1 მარტისთვის დილის 10 საათზე დანიშნულია სიეზდი თავმჯდომარეთა და თითო წარმომადგენელთა რაიონებიდან. (ელისაბედის ქ. № 200.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ადგილებიდან.
2. კოლექტიური ხელშეკრულება.
3. ინსტრუქცია რაიონებისა და სექციებისათვის.
4. მოხსენება კულტურულ-განმანათლებელი კომისიისა.
5. მოხსენება სანოვაგეზე.
6. გზებზე მუშაობის სისტემაზე.
7. განხილვა ყველა კავშირების მოქმედებისა.

**საქსოვი.** სამოსწავლო კომიტეტმა დაადგინა მიეცეს სასკოლო ფონდიდან 10360 მან. ხაშურის რკინის გზის სასწავლებელს საქსოვ განყოფილების გასახსნელად. კომიტეტმა საჭიროთ სცნო გაიხსნას ასეთი განყოფილებები აგრეთვე თბილისის, სამტრედიის და ფოთის რკინის გზის სასწავლებლებთან.

**სასწავლებლების დახურვა.** ვინაიდან პარტახტიან ტიფით ავადმყოფობა ძლიერ გავრცელდა, სამოსწავლო კომიტეტმა გადასწყვიტა დახუროს ორი კვირით ზოგიერთი სასწავლებლები თბილისის კვანძზე.

**ბიბლიოთეკები.** სამოსწავლო კომიტეტმა გადასწყვიტა მიეცეს კულტურულ-განმანათლებელ კომისიას ყოველ თვიურათ 1 სექტემბრამდე 6,000 მ. ბიბლიოთეკების შესანახათ.

# წერილი რედ. მიმართ.

**ბ. მარიამიძის წერილის გამო.**

„თავისუფალ გზაში“ № 4 მოთავსებულია ჩემს შესახებ წერილი მ. ი. მარიამიძის მიერ შემდეგი სათაურით: „საჭიროა ჩვენი ოჯახის გაწმენდა უღირს ელემენტებისაგან“. მ. მარიამიძეს არ დაუზოგავს თავი და რაც კი მოსდგომია პირზე, ყველაფერი მოუთავსებია კავშირის პრესაში.

მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ წერილის შინაარსი თავიდან ბოლომდის შეიცავს ცილის წამებას და ყოველივე მოთხრობილი არის აღმოცენებული მის მიერ ჩემდამი ღვარძლიანობაზედ. აქ არ შევუდგები ვრცლად განვმარტო ის, რაც მაქვს სათქმელი მ. მარიამიძეზე, რადგანაც მე უფრო მიზან-შეწონილად მიმაჩნია პირუთვნელობა. სამედიატორო სასამართლომ დასდოს მსჯავრი ჩემს მოქმედებას და მარიამიძის ღვარძლიან ზრახვებს, მიმართულს ჩემს საწინააღმდეგოთ („თავ. გზა“ № 4).

ჩემის მხრით ვასახელებ მედიატორებათ იოსებ სანადირაძეს, თედორე ხუხუნაიშვილს და ყარამან ნინიძეს.

მოვითხოვ ორი კვირის განმავლობაში დასახელებულ იქნას მ. მარიამიძის მიერ თავისი მედიატორები და იქ წარმოადგინოს საბუთები მისი წერილის დასამტკიცებლათ.

მისამართი მედიატორებისა:

1) სანადირაძე აქ „მილიუტინის ქუჩა, № 9“.

2) ხუხუნაიშვილი, ამიერ კავკ. კოოპერ. კავშირი.

3) ნინიძე, „რკინის გზელის“.

**გრიგორი მ. კორძაია.**

საქართველოს რესპუბლიკის ყველა ნავთსადგურებში გავგზავნე მოწოდება, რომელშიაც ვთხოვდი მოსამსახურეთ აღმოეჩინათ შემწეობა ი. ჩიტაიშვილის და ალ. ხვედელიძის ობლების სასარგებლოთ და მოეგროვებიათ ფული.

ჩემამდის მოაღწია ცნობა, რომ ზოგიერთ ნავთსადგურებში კიდეც მოუგროვებიათ ფული, მაგრამ რადგან მიზეზების გამო ვერ მოუხერხებიათ გამოგზავნა. ამიტომ ვთხოვ მათ დააჩქარონ ამ ფულების გამოგზავნა, ვინაიდან ობლები განიცდიან უმწეო მდგომარეობას.

ხაშურის ნავთსადგურის გამგე

**ლადო ცინცაძე.**

# რედაქციის ფოსტა

**ნ. მ. კობახიძეს.** თქვენი წერილი არ იბეჭდება, ვინაიდან მას პირადული ხასიათი აქვს. შეგიძლიათ მაჭავარიანი გამოიწვიოთ სამედიატორო სამართალში და, თუ იქ დამტკიცდება ყველაფერი ის, რასაც თქვენ ამბობთ, განაჩენს ვრცლად მოვათავსებთ. თქვენი წერილი რედაქციაშია და მოკითხვისათანავე დაგიბრუნდებათ.

**ილოშვილს.** თქვენი წერილი არ მოთავსდება. არც ისე საჭიროა, რომ ტელეგრაფის მოხელეთა სექციიდან გამოიყონ ტელეგრაფის მეთვალყურენი და დაარსონ ცალკე სექცია.

**გ. ბოჭორიშვილს.** ლვინიაშვილი ძალიან ცუდათ მოქცეულა, რომ სამსახურის ასრულების დროს სიტყვით შეურაცხყოფა მოუყენებია თქვენთვის, მაგრამ თუ ყველა ასეთი შემთხვევების შემდეგ გრძელი წერილები ვათავსეთ, რომლებსაც შემდეგ აუცილებლათ მოჰყვება კიდევ უფრო გრძელი პასუხები, საჭირო გახდება გამოვცეთ ყოველ კვირაში არა რვა გვერდიანი „თავ. გზა“, არამედ სქელი ჟურნალი და შეიძლება ამ სქელ ჟურნალშიაც არ დაეტიოს ყველა ეს ლანძღვა-გინება.

**ამხ. ცხადაიას.** ვინაიდან მაგ თემაზე ბევრი წერილი დაიწერა და თქვენ მიერ აღებული კითხვა მრავალ მხრით გარჩეული, თქვენი წერილი არ იბეჭდება.

**სარედაქციო კოლეგია.**

გამომცემელი: კავშირის ცენტრალური გამგეობა.

საქართ. რკ. გზ. სამმართველოს სტამბა-ლიტოგრაფია.